შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ვამტკიცებ

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

13 12 2019 წელი

N 67/36

ეგზ.: N1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
2017-2018 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი **3**
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები **4**
შესავალი **8**
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 8
აუდიტორის პასუხისმგებლობა 8
აუდიტის საგანი 9
აუდიტის მასშტაბი 9
აუდიტის კრიტერიუმები 9
აუდიტის მიზანი 10
აუდიტის მეთოდოლოგია 10
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ 10
აუდიტის მიგნებები **13**
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 13
ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება და გეგმა-გრაფიკების დარღვევა 13
დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები 15
უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები 27
გამწვანების სამუშაოები 31
მიმწოდებელზე ზედმეტად ანაზღაურებული თანხები 33
ტექნიკური ზედამხედველის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები 33
იურიდიული პირების საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები 36
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 38
საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები 38
მმართველობითი გადაწყვეტილებები 40
ქონების მართვასა და განკარგვაში არსებული ხარვეზები 40
საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილი ხარვეზები 41
შესყიდვების პროცესში არსებული ხარვეზები 43
შიდა აუდიტის ხარვეზები 44
წინა აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა 47
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი **47**

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

მუნიციპალიტეტი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი;

მერია – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია;

საკრებულო – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

შემსყიდველი ორგანიზაცია - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია;

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ა(ა)იპ – არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდეგში – მუნიციპალიტეტი) 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის პრობლემები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა.
- სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის საჯარიმო სანქციები. შედეგად, გახანგრძლივდა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების პროცესი და ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.
- მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისას ვერ დააწესა შესაბამისი კონტროლი და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ სამუშაოები დასრულებულიყო დროულად. შედეგად, დაუსრულებელია რამდენიმე ობიექტი და მოსახლეობა ვერ სარგებლობს შესაბამისი მატერიალური სიკეთით.
- მუნიციპალიტეტში შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემა ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დადგენილ ხარისხს. მუნიციპალიტეტში არ მუშაობს საგარანტიო პერიოდში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და გამოსწორების მექანიზმი.
- ტექნიკური ზედამხედველის მიერ განხორციელებული საქმიანობა ხასიათდება სისტემური ხარვეზებით. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია ხელშეკრულების შეწყვეტაზე ან/და საბანკო გარანტიის მოთხოვნაზე.
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა სრულად ვერ მიიღეს ქონების გაქირავებით მისაღები საიჯარო შემოსავლები. შედეგად, ფინანსური ზიანი მიადგა ორგანიზაციის ინტერესებს.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი

კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, იჯარის ფორმით, ქონების განკარგვა ხორციელდება არაპროდუქტიულად. ასევე მუნიციპალიტეტის განუკარგავი ქონების ნაწილი გამოიყენება არაუფლებამოსილი პირების მიერ, რაზეც მერიას შესაბამისი რეაგირება არ განუხორციელებია.
- მუნიციპალიტეტში არსებული მართვის სისუსტეების გამო, საბიუჯეტო პროცესი წარიმართა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზით და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.
- შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები განსაზღვროს პროექტის მნიშვნელობისა და ღირებულების გათვალისწინებით, აგრეთვე, დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე განსაზღვროს ადეკვატური საჯარიმო სანქცია, რომელიც მოსალოდნელი ზიანის თანაზომიერი იქნება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ და ხარისხიან შესრულებას.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვროს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე მშენებლობის მიმდინარეობისას დააწესოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და პროცესები წარმართოს ისე, რომ მშენებლობა დასრულდეს ხარისხიანად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის

ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ანგარიშში დაფიქსირებული გარემოებები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4: მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზედამხედველო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო შეუსრულებლობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანომ, საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტიანად მართვის მიზნით, შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიერ დაფუძნებული შპს-ების მიერ შემოსავლის ბიუჯეტში დროულ და სრულ მობილიზებას.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის მერიამ, საბაზრო ფასებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვა. ასევე მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად გამოავლენს მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ თვითნებურად გამოყენების ფაქტებს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის იმგვარი ფუნქციონირება, რომელიც ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს შეისწავლის და შეაფასებს, ასევე გამოავლენს პროცესებში არსებულ რისკებსა და სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს, რატომ არ განხორციელდა სათანადო რეაგირება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის დროს გამოვლენილ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით; ასევე გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებაზე რეაგირება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 25,787.7 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები[1]

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

[1] 2017-2018 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“;

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს, ერთ ქალაქსა და 69 სოფელს.[2] მისი ფართობია 1142კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 10.7 ათას კაცს.[3]

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გაყოფის შემდგომ, 2014 წლიდან 2017 წლის ნოემბრამდე არსებობდა 2 მუნიციპალიტეტი: თვითმმართველ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. საქართველოს პარლამენტის დადგენილების თანახმად,[4] 2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დანიშვნის დღიდან, მუნიციპალიტეტები გაერთიანდა და შეიქმნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 4,971.5 ათასი ლარი,

[2] mreg.reestri.gov.ge

[3] www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2018 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი

[4] საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-IIს დადგენილება „გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 162.5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 15,045.8 ათასი ლარი, განათლება 1,762.4 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1,105.7 ათასი ლარი, ხოლო კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 2,737.9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით,[5] 2017-2018 წლების შემოსულობებმა – 27,531.8 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 25,787.7 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	**2017 წელი**			**2018 წელი**			**სულ ფაქტი**
	დაზუსტებული გეგმა	**ფაქტი**	**შესრულების %**	**დაზუსტებული გეგმა**	**ფაქტი**	**შესრულების %**	
შემოსულობები	**12,996.4**	**12,774.7**	**98%**	**13,519.9**	**14,757.1**	**109%**	**27,531.8**
შემოსავლები	12,763.2	12,596.4	99%	13,357.2	14,553.7	109%	27,150.1
არაფინანსური აქტივების კლება	233.2	178.3	76%	162.7	203.4	125%	381.7
ფინანსური აქტივების კლება	0	0		0	0		0
ვალდებულებების ზრდა	0	0		0	0		0
გადასახდელები	**13,725.8**	**12,317.6**	**90%**	**14,695.8**	**13,470.1**	**92%**	**25,787.7**
ხარჯები	7,394.5	6,967.1	94%	6,859.7	6,679.9	97%	13,647.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,314.1	5,333.6	84%	7,836.1	6,790.2	87%	12,123.8
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0		0	0		0
ვალდებულებების კლება	17.1	16.9	99%	0	0		16.9
ნაშთის ცვლილება	**-729.4**	**457.1**		**-1,175.9**	**1,287.0**		

2017 წელს გადასახდელების გეგმა ნაცვლად 13,725.8 ათასი ლარისა, შესრულდა 12,317,6 ათასი ლარით (90%), ხოლო 2018 წელს ნაცვლად 14,695.8 ათასი ლარისა, შესრულდა 13,470.1 ათასი ლარით (92%). აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შეუსრულებლობით, რომელიც მოიცავს

[5] 2017 წლის ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ, გაერთიანებულია ორი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიური ანგარიშების მიხედვით

ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაგეგმილი მაჩვენებელი 2017 წელს შესრულდა 84%-ით, ხოლო 2018 წელს 87%-ით. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები.[6]

ამდენად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სათანადო დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ მიღებულ არაეფექტიან გადაწყვეტილებებზე.

[6] 2017 წელს დროულად ვერ დასრულდა ტურისტული ობიექტების მოწყობა და ურავში მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოები, აუთვისებელი დარჩა საკანალიზაციო ქსელის მოწყობისათვის გამოყოფილი თანხა, ასევე, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი თანხის ათვისება დაიწყო 2018 წელს. 2018 წელს დროულად ვერ დასრულდა სხვადასხვა ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარიანი გზა. ასევე აუთვისებელი დარჩა რეგიონალური პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება.

აუდიტის მიგნებები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება და გეგმა-გრაფიკების დარღვევა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების გზით გაფორმებულ ხელშეკრულებებში გამოიყენება საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო) ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ჯარიმების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. სახელმწიფო უწყებებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიმწოდებლებზე დაკისრებული ჯარიმა უნდა იყოს მიღებული ზარალის თანაზომიერი. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.[7]

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას შემსყიდველს შეუძლია პრეტენდენტისგან მოითხოვოს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა, რომლის ძირითადი მიზანია ადრეულ პერიოდში გამოავლინოს სამუშაოების შეფერხება და ჯარიმის გავრცელებით ზემოქმედება მოახდინოს მიმწოდებელზე.

გამოვლენილი გარემოება: ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში ტენდერის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად სხვადასხვა მიმწოდებელთან გააფორმა 40 ხელშეკრულება.[8] ხელშეკრულებების შესწავლით გამოვლინდა, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესი ხასიათდებოდა ხარვეზებით სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების, გეგმა-გრაფიკებისა და მიწოდების ვადების დაცვის კუთხით.

2017 წლიდან 2018 წლის ივლისამდე პერიოდში, მიმწოდებლებთან გაფორმებული 9 ხელშეკრულება საერთოდ არ ითვალისწინებდა გეგმა-გრაფიკის წარმოდგენას,[9] შესაბამისად, არც საჯარიმო სანქციას. ამდენად, გეგმა-გრაფიკის არქონის გამო მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა სამუშაოების შესრულების ჩამორჩენაზე ზემოქმედების საშუალება.

26 შემთხვევაში ხელშეკრულებით მოთხოვნილი იყო სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის წარმოდგენა, თუმცა მისი დარღვევის შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა სამუშაოების შესრულების ვადები და გამოვლინდა 10 შემთხვევა,[10] როდესაც მიმწოდებლები სისტემატურად არღვევდნენ

[7] საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, კარი მეხუთე, თავი პირველი

[8] ხელშეკრულებები 50.0 ათას ლარს ზემოთ

[9] NAT180000336, NAT180005825, NAT170003460, NAT170003641, NAT170005629, NAT170006569, NAT170006618, NAT170008757, NAT170008977

[10] მიმწოდებლებმა 9 ხელშეკრულების ფარგლებში 10 შემთხვევაში (ურავში ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოები შესრულდა 2 ეტაპად) დაარღვიეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკი

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გეგმა-გრაფიკს. მათ შორის, 5 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებმა ვერ დაასრულეს სამუშაოები და მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულებები - დაუსრულებელია გოგებაშვილისა და ბარათაშვილის ქუჩებზე გზის მოწყობის სამუშაოები, სოფელ ურავში მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოები და 18 ტურისტული ობიექტის მოწყობა. დანარჩენ 5 შემთხვევაში მიმწოდებლებმა სამუშაოები დაასრულეს მიწოდების ვადების დარღვევით.

საჯარიმო სანქციების გამოყენება მიწოდების ვადების დარღვევის პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმია. მისი არარსებობა ხელს უწყობდა მიმწოდებლებს, რომ სისტემატურად დაერღვიათ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადები, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დაგეგმილ დროში ვერ მიიღო ინფრასტრუქტურული პროექტები. გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის საჯარიმო სანქციების მექანიზმის გამოყენებას შესაძლოა დაეჩქარებინა მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების შესრულების ტემპი.

2018 წლის ივლისის შემდეგ გაფორმებული 5 ხელშეკრულება[11] ითვალისწინებდა სამუშაოების შესრულებას გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და ჩამორჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გავრცელებას. გამოვლინდა, რომ 4 შემთხვევაში მიმწოდებლებმა დროულად დაასრულეს სამუშაოები, ხოლო ერთ შემთხვევაში[12] მიმწოდებელმა სამუშაოები შეასრულა 67 დღის დაგვიანებით. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელი დააჯარიმა მიწოდების ვადის გადაცილების გამო და არ დაუჯარიმებია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველ კონკრეტულ ვადაგადაცილებაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულებები ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს, რომელიც მერყეობდა ხელშეკრულების ღირებულების ან შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-დან 0.5%-მდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის განსაზღვრა საჯარიმო სანქცია, თუმცა დაკისრებული პირგასამტეხლო ზოგჯერ იყო მცირე. აღნიშნულით მიმწოდებლებს ექმნებოდათ შესაძლებლობა, მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი, მინიმალური დანახარჯებით შეესრულებინათ სახელშეკრულებო პირობები. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა საჯარიმო სანქციების განსაზღვრისას გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა, რაც გულისხმობს სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში მიყენებული ზიანის თანაზომიერი საჯარიმო სანქციის დაკისრებას. სამუშაოების მიწოდების ვადის დარღვევისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულმა საჯარიმო

[11] NAT180009895, NAT180011579, NAT180011069, NAT180012294, NAT180017809;
[12] NAT180011579, 67 დღეზე სულ დაჯარიმებულია 0.9 ათასი ლარით.

სანქციებმა ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენცია.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივლისამდე, არც ერთი ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო მიმწოდებლების დაჯარიმებას. 2017-2018 წლებში რამდენიმე ხელშეკრულების ფარგლებში[13] მიმწოდებლებმა ვერ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები, მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულებები, თუმცა სამუშაოების შეუსრულებლობის გამო რაიმე სახის პირგასამტეხლო მუნიციპალიტეტს არ დაუკისრებია და შესაბამისად, არც მიუღია. აღნიშნული თემები უფრო ვრცლად განხილულია აუდიტის ანგარიშში.

დასკვნა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მიწოდების ვადებისა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების დაცვას. მუნიციპალიტეტმა დროულად არ გამოიყენა შესაბამისი საჯარიმო სანქციები, შედეგად ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი ვერ დასრულდა, ნაწილი კი დასრულდა დაგვიანებით, რის გამოც ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები განსაზღვროს პროექტის მნიშვნელობისა და ღირებულების გათვალისწინებით. აგრეთვე, დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე განსაზღვროს ადეკვატური საჯარიმო სანქცია, რომელიც მოსალოდნელი ზიანის თანაზომიერი იქნება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ და ხარისხიან შესრულებას.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობისათვის მატერიალური სიკეთის მიწოდება და სარგებლის მიღება. პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს და განახორციელოს

[13] 2017 წლის ხელშეკრულებები №88,№82 და 2018 წლის ხელშეკრულებები №75,№76

ისე, რომ სამუშაოები დასრულდეს დაგეგმილ ვადაში, პროექტები იყოს ხარისხიანი და მისგან მიღებული შედეგი შეესაბამებოდეს განსაზღვრულ მიზნებს.

გამოვლენილი გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ივლისში გამოაცხადა ტენდერი 18 ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობაზე, თანხით 254.5 ათასი ლარი. პროექტი მიზნად ისახავდა 2018 წლის ტურისტული სეზონისთვის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, მოეწყობოდა დასასვენებელი ფანჩატურები, წყაროები, ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი ბილიკები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ობიექტები განლაგებულია ერთმანეთისგან მოშორებით, 13 სხვადასხვა სოფელში. მუნიციპალიტეტმა ტენდერის გამოცხადებისას არ გაითვალისწინა სარეაბილიტაციო ობიექტების განლაგება, რაოდენობა და სირთულე, ასევე სამუშაოების ერთდროულად შესასრულებლად საჭირო ტექნიკური და ადამიანური რესურსი და შესყიდვა გამოაცხადა ერთი ტენდერის ფარგლებში.

სატენდერო მოთხოვნა 18 ობიექტის ერთდროულად მოწყობასთან დაკავშირებით, რისკის მატარებელია და შესაძლოა ზღუდავდეს სხვა პრეტენდენტების მონაწილეობას ტენდერში. შედეგად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „აბსოლუტპლუსმა“[14] და გაიმარჯვა იმ ფასად, რა ღირებულებითაც მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების[15] მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 18 დეკემბრამდე.[16]

შპს „აბსოლუტპლუსმა“ სათანადოდ არ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები,[17] სისტემატურად არღვევდა გეგმა-გრაფიკს, ხოლო ორ ობიექტზე საერთოდ არ განუხორციელებია სამუშაოები:

- სოფელ ზნაკვაში ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკისა და მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, თანხით 5.6 ათასი ლარი;
- სოფელ წესში „მინდაციხეზე“ მისასვლელი ბილიკის სამუშაოები, თანხით 0.9 ათასი ლარი.

ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო, 2018 წლის იანვარში მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან შეწყვიტა ხელშეკრულება.[18] ამ დროისათვის მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა 204.3 ათასი ლარის სამუშაოები, რაც მუნიციპალიტეტმა

[14] NAT170008581.
[15] 2017 წლის 30 აგვისტოს №88 ხელშეკრულება.
[16] მიწოდების ვადა 2017 წლის 28 ნოემბრიდან გაზარდა 18 დეკემბრამდე;
[17] 16 ობიექტიდან 10 ობიექტზე სამუშაოები შესრულდა ნაწილობრივ.
[18] ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 30 იანვრის №218 ბრძანება.

შემსრულებელს სრულად აუნაზღაურა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა შპს „აბსოლუტპლუსს“ დაარიცხა საჯარიმო სანქცია[19] და მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების თაობაზე. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა ტურისტული ობიექტების მოწყობა ვერ დაგეგმა იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი გამოყენება 2018 წლის ტურისტულ სეზონზე. ასევე, მუნიციპალიტეტის მოთხოვნა 18 ობიექტის ერთდროულად მოწყობასთან დაკავშირებით, ხელს არ უწყობდა ჯანსაღი კონკურენციის შექმნას, რის გამოც მუნიციპალიტეტმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ასევე მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და პროექტთან შესაბამისობაზე. მიმწოდებელმა წარმოადგინა შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ დასკვნა, სადაც აღწერილია შესრულებული სამუშაოების მოცულობები, ხოლო ხარისხი შეფასებულია ვიზუალური დათვალიერებით.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ, საექსპერტო კომპანიის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე ჩაიბარა მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტები, რითაც აღიარა შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2019 წლის 8 ივლისს, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები და გამოვლინდა, რომ ფანჩატურებზე ჩამოცვენილია საღებავი, რამდენიმე ადგილას დაზიანებულია ფილები.[20]

აღსანიშნავია, რომ ვიზუალური დათვალიერება ვერ უზრუნველყოფს იმის დადასტურებას თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი საექსპერტო კომპანიისა და მერიის ინსპექტირების ჯგუფის მიერ სათანადოდ შემოწმებული არ არის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო ხარისხიანი ინფრასტრუქტურული ობიექტების მიღება-ჩაბარება.

[19] 2.9 ათასი ლარი.

[20] სოფელ ნიკორწმინდაში „საყინულეს“ ფანჩატური, ჯორიპარიას ტერიტორიაზე, სოფელ სხვავაში კრიხულას ხეობაში, სხარტალის ჭალაში, მდ. კრიხულას სათავესთან და ლუხუნის ხეობაში მდებარე ფანჩატურები.

ხელშეკრულების საგარანტიო ვადა განისაზღვრა 3 წლით, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა. 2018 წლის 23 აპრილს მუნიციპალიტეტმა სოფელ პირველ ტოლაში, ლუხუნის ხეობაში, გურგენიძის წყაროზე და თხმორის ჩანჩქერთან არსებულ საჩრდილობელზე დააფიქსირა ხარვეზები, რისი გამოსწორების მოთხოვნით მიმართა მიმწოდებელს. დაფიქსირებული ხარვეზები მიმწოდებელმა ნაწილობრივ გამოასწორა. აღნიშნული დაზიანებების გარდა, აუდიტის ჯგუფმა ანალოგიური/მსგავსი ხარვეზები გამოავლინა ზემოთ აღწერილ სხვა ობიექტებზეც. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, მიმწოდებელს არ გამოუსწორებია ობიექტებზე არსებული დაზიანებები.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული იყო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი, თუმცა არ ითვალისწინებდა სამუშაოების ტემპის ჩამორჩენის გამო, საჯარიმო სანქციების გავრცელებას. ასევე გათვალისწინებული არ იყო პირგასამტეხლო სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარება. მუნიციპალიტეტმა არასწორი გადაწყვეტილებების გამო, ვერ უზრუნველყო ობიექტის დროულად დასრულება. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტიდან გასულია ერთ წელზე მეტი, თუმცა მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები ობიექტზე არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და მიმწოდებლის მიერ ნაწილობრივ შესრულებული ობიექტების დასასრულებლად.

გამოვლენილი გარემოება 2: მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 29 ივნისს გამოაცხადა ტენდერი სოფელ ურავში ყოფილი სამთო-ქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე არსებული მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით.[21] ტენდერში გაიმარჯვა შპს „ორნამენტმა“, ღირებულებით 749.8 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე შესრულდებოდა 472.5 ათასი ლარის სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარულ დღეში, 2017 წლის 7 ნოემბრამდე.[22] მეორე ეტაპის სამუშაოები, ღირებულებით 277.3 ათასი ლარი, დაიწყებოდა 2018 წელს - ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომისთანავე

[21] NAT170007296

[22] 2017 წლის 8 ნოემბრის შეთანხმებით, მიწოდების ვადა გადაიწია 2017 წლის 6 დეკემბრამდე.

გაფორმდებოდა ხელშეკრულება და სამუშაოები დასრულდებოდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 დღეში.

ურავის ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობდა ყოფილი სამთო-ქიმიური ქარხნების შენობების დემონტაჟს, დაბინძურებული გრუნტის მოხსნას, წარმოქმნილი ნარჩენების სარკოფაგში განთავსებას და სხვა.

მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 22 სექტემბერს ჩაიბარა და მიმწოდებელს აუნაზღაურა, მიმწოდებლის მიერ დაქირავებული ექსპერტიზის და ტექნიკური ზედამხედველის მიერ დადასტურებული სამუშაოები, თანხით 180.2 ათასი ლარი. გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მიმწოდებელს ამ პერიოდისთვის შესრულებული უნდა ჰქონოდა სამუშაოების ძირითადი ნაწილი, თუმცა შეასრულა მხოლოდ 38%. მიუხედავად ამისა, არც მუნიციპალიტეტს და არც სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველს არ დაუფიქსირებია მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ნელი ტემპი და გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენა.

სამუშაოებს ზედამხედველობას უწევდა შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“, რომლის ვალდებულება იყო მუდმივი კონტროლი გაეწია სამუშაოების მიმდინარეობის პროცესისათვის და მუნიციპალიტეტისთვის დროულად მიეწოდებინა ინფორმაცია სამუშაოების ნელი ტემპით მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ტექნიკურ ზედამხედველს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არსებულ ხარვეზებზე დროული რეაგირება არ მოუხდენია.

მიმწოდებელმა მიწოდების ვადის დასრულებამდე 4 დღით ადრე, 2017 წლის 3-7 ნოემბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს მისწერა წერილები, სადაც დააფიქსირა სამუშაოების შესრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები, კერძოდ:

1. ხარჯთაღრიცხვის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელს სარკოფაგის ირგვლივ უნდა განეხორციელებინა მიწაყრილისა და პანდუსის მოწყობა, რისთვისაც საჭირო იყო მიწის მოსაჭრელად ტერიტორიის გამოყოფა. შპს „ორნამენტი“ ითხოვდა აღნიშნული ტერიტორიის მითითებას.
2. სამუშაოების შესრულებისას გამოიკვეთა, რომ სამშენებლო ნაშალის ფაქტობრივმა მოცულობამ შესაძლოა გადააჭარბოს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულს, რის გამოც არსებობს რისკი, რომ ნარჩენი არ ჩაეტიოს სარკოფაგში; ასევე ბეტონის გადახურვის ფილები დემონტაჟის დროს იმსხვრეოდა და შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი სარკოფაგის გადასახურად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმწოდებელი ითხოვდა პროექტის კორექტირებას და შესრულების ვადის გაზრდას. 2017 წლის 8 ნოემბრის შეთანხმებით, სამუშაოების მიწოდების ვადა გადაიწია 6 დეკემბრამდე. პასუხისმგებელი პირის

განმარტებით,[23] მოსაჭრელი მიწის ტერიტორია მიმწოდებელს სიტყვიერად უკვე ჰქონდა მითითებული, ასევე დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ ნარჩენის სრული მოცულობის დათვლა შესაძლებელი იქნებოდა მათი სარკოფაგში სრული გადატვირთვის შემდგომ. შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ხელისშემშლელი გარემოებები არ იყო შესრულების ვადების ცვლილებისთვის საკმარისი საფუძველი, რადგან მიმწოდებელი სამუშაოებს არ ასრულებდა გეგმა-გრაფიკით და აღნიშნული პრობლემები ვადის ამოწურვამდე მხოლოდ 4 დღით ადრე დააფიქსირა. ვადის გადაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების პირობების მიხედვით მიმწოდებელს დაარიცხავდა პირგასამტეხლოს 34.7 ათასი ლარის ოდენობით.[24]

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტებით ირკვევა, რომ 2017 წლის ბოლოსათვის მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა 241.3 ათასი ლარის სამუშაოები, რომლებიც მუნიციპალიტეტმა ტექნიკური ზედამხედველის და მიმწოდებლის მიერ დაქირავებული ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე,[25] სრულად ჩაიბარა და აანაზღაურა. ამ პერიოდისათვის, მიმწოდებელმა დაშალა ყოფილი სამთო ქიმიური ქარხნების შენობები, ასევე სამშენებლო ნაშალის ნაწილი მოათავსა სარკოფაგში. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობისათვის სახიფათო სამშენებლო ნარჩენი, დაახლოებით 1000 კუბ.მეტრი, განთავსებული იყო ქარხნების დაშლის ტერიტორიაზე, სარკოფაგში განთავსების გარეშე.

სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევის მიუხედავად, მიმწოდებელი მაინც ვერ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს.[26] იქიდან გამომდინარე, რომ საჯარიმო სანქციამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს,[27] 2018 წლის 13 მარტს მუნიციპალიტეტმა მიიღო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.

2018 წლის 15 მარტს მუნიციპალიტეტში შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა შპს „ორნამენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. 23 მარტის ბრძანებით, გაუქმდა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და კომპანიას მიეცა სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა სამუშაოს შესრულებისათვის ტენდერის

[23] აღნიშნული დოკუმენტურად დადასტურებული არ არის.

[24] საჯარიმო სანქცია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს 1155 ლარს. 30 დღის საჯარიმო სანქცია 30*1155=34,7 ათასი ლარი.

[25] ხელშეკრულებით მიხედვით მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა - მიმწოდებელმა წარმოადგინა შპს „რეალექსპერტის“ მიერ გაცემული დასკვნები.

[26] მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს არიცხავდა საჯარიმო სანქციას – 2017 წლის 7 დეკემბრიდან 2018 წლის 13 მარტამდე დარიცხულია საჯარიმო სანქცია, თანხით - 112.0 ათასი ლარი.

[27] აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

მეშვეობით ახალი მიმწოდებლის გამოვლენის პერიოდი. ასევე ქარხნების ტერიტორიაზე განთავსებული ნარჩენების კონსერვაციის სამუშაოების დაუსრულებლობას შესაძლოა გამოეწვია გარემოს დამატებითი დაბინძურება.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ნარჩენი ქარხნის დაშლის ტერიტორიაზე განთავსებული იყო დაახლოებით 4 თვის მანძილზე. ვინაიდან ნაშალი მასალა საფრთხის შემცველი იყო მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, მუნიციპალიტეტს პროცესები უნდა წარემართა იმგვარად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნარჩენების სარკოფაგში დროულად განთავსება.

მიმწოდებელმა პირველ ეტაპზე გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა 8 თვის დაგვიანებით, 2018 წლის პირველ აგვისტოს.[28]

<u>მეორე ეტაპი:</u>

შპს „ორნამენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების მეორე ეტაპი უნდა დაწყებულიყო 2018 წელს ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომისთანავე. იქიდან გამომდინარე, რომ პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობდა ხარვეზებით და დასრულდა 2018 წლის აგვისტოში, მეორე ეტაპის სამუშაოების გაგრძელებაზე შეთანხმება გაფორმდა 2018 წლის 4 სექტემბერს, ღირებულებით 277.3 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 22 ნოემბერი.

მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ ასრულებდა მეორე ეტაპით განსაზღვრულ სამუშაოებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულდა 2018 წლის 30 დეკემბერს, რის გამოც მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელთან შეწყვიტა ხელშეკრულება. ამ დროისათვის ტექნიკურ ზედამხედველს და მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ ინსპექტირების ორგანოს - შპს „რეალექსპერტს“ დადასტურებული ჰქონდა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები, თანხით 58.6 ათასი ლარი.

2019 წლის 23 იანვარს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ობიექტზე არსებული ხარვეზები. კერძოდ, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოწყობილი გეომემბრანა და გეოპლასტი არ შეესაბამებოდა საპროექტო მოთხოვნებს, ასევე გეოტექსტილი მოწყობილი იყო ხარვეზებით. აღნიშნული ხარვეზების შესახებ წერილობით ეცნობა შპს „ორნამენტს“ და შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“ იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოედგინა შესრულებული სამუშაოს აქტი ხარვეზებით შესრულებული სამუშაოების გარეშე. აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულებულა.

[28] მიმწოდებელი სამუშაოების ასრულებდა ჯარიმის პირობებში.

მიმწოდებლის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოების მოცულობითი და ხარისხობრივი შეფასების მიზნით, მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 29 იანვარს მიმართა „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“. საექსპერტო კომპანიამ დასკვნა წარმოადგინა 7 მარტს. დასკვნის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 51.3 ათასი ლარი. ასევე დააფიქსირა სხვადასხვა ხარვეზი. სამხარაულის დასკვნის მიხედვით, შემცირებულია ფარული სამუშაოს აქტებით დადასტურებული მოცულობები, მაგალითად:

1. შენობის პირველი და მეორე სართულის გადახურვიდან, 6.0X1.2მ ზომის ფილების დემონტაჟი და ტერიტორიაზე დასაწყობება შემდგომი გამოყენებისათვის - ფარული სამუშაოს აქტების მიხედვით, დაფიქსირებულია 180 ცალი ფილა, ხოლო სამხარაულის ეროვნულმა ბიურომ დაადასტურა 141 ცალი.
2. გეომემბრანის საფარის მოწყობა, სისქით 2.0 მმ - ფარული სამუშაოს აქტების მიხედვით დაფიქსირებულია 756 კვ. მ, ხოლო სამხარაულის ბიურომ დაადასტურა 680 კვ.მ.
3. გეოტექსტილის მოწყობა - ფარული სამუშაოს აქტების მიხედვით დაფიქსირებულია 726.95 კვ.მ, ხოლო სამხარაულის ბიურომ დაადასტურა 697.04 კვ.მ და სხვ.

გარდა მოცულობითი სხვაობებისა, გამოვლენილია გეომემბრანის ხარვეზი, რომლის ანაზღაურების უფლებამოსილება შემსყიდველს დაეკისრა. სამხარაულის დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა მხოლოდ 22.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები.

ფარული სამუშაოს აქტები დამოწმებულია მიმწოდებლისა და შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ მიერ. ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია სამუშაოების მიღება-ჩაბარებამდე ზედამხედველობა გაუწიოს მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს, მხედველობაში მიიღოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები და მუნიციპალიტეტს წარუდგინოს დაზუსტებული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს მოცულობების შესახებ, რაც შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“ არ განუხორციელებია.

მიღებული საჯარიმო სანქცია

მიმწოდებელმა ორივე ეტაპზე განსაზღვრული სამუშაოები შეასრულა მიწოდების ვადების დარღვევით, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს დაარიცხა საჯარიმო სანქცია, თანხით 219.1 ათასი ლარი.

მიმწოდებელი პერიოდულად წარმოადგენდა შუალედურ აქტებს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს პირველი ეტაპის სამუშაოებზე 2 შუალედური აქტი, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოებზე ერთი შუალედური აქტი:

- ✓ 2018 წლის 3 მაისს, თანხით 125.7 ათასი ლარი. 2017 წლის 6 დეკემბრიდან 3 მაისამდე ვადის გადაცილებისათვის დარიცხულმა საჯარიმო სანქციამ შეადგინა 120.2 ათასი ლარი;
- ✓ 2018 წლის 1 აგვისტოს, თანხით 100.7 ათასი ლარი. 3 მაისიდან პირველ აგვისტომდე დარიცხულმა საჯარიმო სანქციამ შეადგინა 44.8 ათასი ლარი;
- ✓ 2019 წლის 31 დეკემბერს, თანხით 58.6 ათასი ლარი.[29] 22 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე დარიცხულმა საჯარიმო სანქციამ შეადგინა 54.1 ათასი ლარი.[30]

მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან საჯარიმო სანქციის დაკავებას და გადარიცხვას ხაზინის ანგარიშზე, თუმცა მუნიციპალიტეტს შეეძლო მიემართა მიმწოდებლისათვის და არ გადაეხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულება მანამ, სანამ მიმწოდებელი არ დაფარავდა მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ ვალდებულებას. მუნიციპალიტეტმა საჯარიმო სანქციის ამოღების მიზნით მიმართა სასამართლოს. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტმა ვადის უსაფუძვლო გადაწევის გამო მიმწოდებელს არ დაარიცხა 34.6 ათასი ლარის პირგასამტეხლო, დავა მიმდინარეობს 219.1 ათასი ლარის საჯარიმო სანქციის მიღებაზე, ნაცვლად 253.7 ათასი ლარისა.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტმა სამუშაოების მიმდინარეობისას ვერ დააწესა შესაბამისი კონტროლი და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ სამუშაოები დასრულებულიყო დროულად. ასევე, ქიმიური სამშენებლო ნარჩენები დიდი ხნის განმავლობაში განთავსებული იყო ქარხნის ტერიტორიაზე, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას და აბინძურებდა გარემოს. ვადის უსაფუძვლო გადაწევის გამო, მიმწოდებელს არ დაერიცხა შესაბამისი პირგასამტეხლო და სასამართლო დავა მიმდინარეობს 34.6 ათასი ლარით ნაკლებ საჯარიმო სანქციაზე.

[29] ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა და აანაზღაურა მხოლოდ 22.2 ათასი ლარის სამუშაოები;
[30] თანხები გადარიცხულია 2018 წლის 11 მაისს, 27 აგვისტოსა და 2019 წლის მარტს;

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მუნიციპალიტეტმა ორჯერ გამოაცხადა ტენდერი[31] დარჩენილი სამუშაოების დასრულების მიზნით. პირველი ტენდერი გამოცხადდა მაისში, რომელიც არ შედგა. მეორე ტენდერში გაიმარჯვა ამხანაგობა „ფარაონი და კომპანიამ“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 5 ივლისს. მიმწოდებელი სამუშაოებს ახორციელებდა გეგმა-გრაფიკთან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით, საჯარიმო თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა მიიღო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება. აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზანი იყო სოფელ ურავში არსებული სახიფათო ნარჩენებით დაბინძურებული ყველა წყაროს ლიკვიდაცია. შესაბამისად, მისი დროული განხორციელება განსკუთრებით მნიშვნელოვანი იყო როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების კუთხით. მიუხედავად პროექტის მნიშვნელობისა, მუნიციპალიტეტმა 2017 წლიდან აუდიტის მიმდინარეობის პერიოდამდე ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება.

გამოვლენილი გარემოება 3: 2018 წლის მაისში მუნიციპალიტეტმა შპს „მიმდემთან“ გააფორმა ორი ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 691.8 ათასი ლარი.[32] ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს 2018 წლის 14 აგვისტომდე[33] უნდა დაესრულებინა ქალაქ ამბროლაურში 6 ქუჩის გზის საფარისა და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაასრულა მხოლოდ ერთი ქუჩა,[34] ვადების დარღვევით დაასრულა სამი ქუჩა, ხოლო ორ ქუჩაზე სამუშაოები შეასრულა ნაწილობრივ. კერძოდ: ორივე ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი დარჩა გოგებაშვილის ქუჩის ასფალტბეტონის სამუშაოები, ღირებულებით 58.7 ათასი ლარი და ბარათაშვილის ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე ასფალტის საფარის მოწყობა.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულდა ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ორივე ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტს ხელშეკრულებით არ ჰქონდა განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ზემოქმედება მოეხდინა მიმწოდებელზე - ხელშეკრულებები ითვალისწინებდა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკს, თუმცა არც მისი დარღვევისთვის და არც სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის არ იყო

[31] NAT190009514, NAT190010641

[32] ხელშეკრულება №75, ღირებულებით 297.6 ათასი ლარი და №76, ღირებულებით 394.2 ათასი ლარი. NAT180004847, NAT180004849.

[33] ხელშეკრულება №75 მიწოდების ვადაა 2018 წლის ივლისი, შეთანხმებით ვადა გადაიწია აგვისტომდე.

[34] გამსახურდიას ქუჩის მესამე ჩიხი - სამუშაოები ჩაიბარა 2018 წლის 15 აგვისტოს.

განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შესაბამისად, ხელშეკრულებების მოქმედების ვადის ამოწურვისას, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა მხოლოდ სამუშაოს მიწოდების ვადის დარღვევის გამო, რამაც 144.4 ათასი ლარი შეადგინა.[35] აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტმა დაუკავა მიმწოდებელს სამუშაოების ანაზღაურებიდან და სრულად მიმართა შესაბამის სახაზინო ანგარიშზე. აგრეთვე მუნიციპალიტეტმა მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით.[36]

სამუშაოების შესრულების მიმდინარეობას ზედამხედველობას უწევდა შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“ და მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ასევე მიმწოდებელმა შესრულებულ სამუშაოებზე წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნები.[37] საბოლოოდ, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 539.3 ათასი ლარის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ ორივე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულების შესრულების გარანტია 34.6 ათასი ლარი.[38] გარანტიის მოქმედების ვადა, ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო 2018 წლის 15 სექტემბერი და 20 ოქტომბერი. კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადა განსაზღვროს ხელშეკრულებით, თუმცა მიზანშეწონილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. აღნიშნული მექანიზმი მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკავოს გარანტიის თანხები. შპს „მიმდემთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა იწურებოდა 2018 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ განსაზღვრა ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა. გარდა ამისა, მიმწოდებელი ვერ ახერხებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულებას, მიუხედავად ამისა, გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმწოდებელს მიმართა 2018 წლის 17 და 18 დეკემბერს (გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 2-3 თვის დაგვიანებით). იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ განსაზღვრა გარანტიის მოქმედების ვადები, ასევე დაგვიანებით მოითხოვა გარანტიის ვადის გადაწევა, დაკარგა 34.6 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

---

[35] სასამართლოს გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს თანხა შემცირდა 72.2 ათას ლარამდე.

[36] შპს „მიმდემმა“ დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში და დროებით ამოღებულია შავი სიიდან. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

[37] დასკვნა გაცემულია შპს „ზაისი და კომპანიის“ მიერ.

[38] ხელშეკრულება № 76 - 19.7 ათასი ლარი, ხელშეკრულება №75 14.9 ათასი ლარი

2019 წელს მუნიციპალიტეტმა დარჩენილ 2 ქუჩაზე თავიდან გამოაცხადა ტენდერი ოთხჯერ, რომელთაგან 3 ტენდერში მონაწილეობა არ მიიღო პრეტენდენტებმა, ხოლო ერთი დასრულდა უარყოფითი შედეგით. მარტსა და აპრილში გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულება იყო 122.0 ათასი ლარი.[39] პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სავარაუდო ღირებულების თანხა არ იყო საკმარისი დარჩენილი სამუშაოების შესასრულებლად. მუნიციპალიტეტმა სავარაუდო ღირებულების დასათვლელად, 2019 წლის ივნისში სამხარაულისგან შეისყიდა ექსპერტიზის მომსახურება, რომლის მიხედვით დარჩენილი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 149.6 ათასი ლარით. მიუხედავად სავარაუდო ღირებულების გადაფასებისა, ტენდერები არ შედგა.[40] დარჩენილ სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 24 სექტემბერს, შპს „მიმდემთან“ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 9 თვის შემდეგ. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, სამუშაოები დასრულებული არ არის.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტმა ქუჩების რეაბილიტაციის მიმდინარეობისას ვერ დააწესა შესაბამისი კონტროლი და პროცესები ვერ წარმართა ისე, რომ ობიექტების მშენებლობა დასრულებულიყო დროულად და ხარისხიანად, კერძოდ: ხელშეკრულების პირობები ვერ განსაზღვრა იმგვარად, რომ მოეხდინა ობიექტის მიწოდების დაგვიანების პრევენცია, არასათანადოდ განსაზღვრა გარანტიის მოქმედების ვადები, რის გამოც დაკარგა 34.6 ათას ლარის მიღების შესაძლებლობა. შედეგად, მოსახლეობამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ვერ მიიღო დაგეგმილი მატერიალური სიკეთე.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის მერიამ ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვროს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე მშენებლობის მიმდინარეობისას დააწესოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და პროცესები წარმართოს ისე, რომ მშენებლობა დასრულდეს ხარისხიანად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ანგარიშში დაფიქსირებული გარემოებები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

[39] აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტმა გამოიყვანა საპროექტო ღირებულებიდან.
[40] ერთი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ისეთი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულზე რწმუნების მიღება მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემით – პასუხისმგებელი პირების მიერ სამუშაოების ზედამხედველობით, ასევე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტში შესრულდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო დასკვნის ან/და ტექნიკური ზედამხედველის[41] მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა პროექტები ჩაიბარა საექსპერტო კომპანიების დადებითი დასკვნის საფუძველზე. ხელშეკრულებების პირობის მიხედვით, დასკვნით უნდა დადასტურებულიყო შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობის და ღირებულების შესაბამისობა სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესწავლით გამოვლინდა, რომ საექსპერტო კომპანიები ადასტურებდნენ შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ღირებულებას, ხოლო ხარისხი შეფასებულია მხოლოდ ვიზუალურად ან/და მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული დასკვნებით.

შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ, რომელმაც შეისწავლა მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობები, ხოლო ხარისხი შეფასებულია ვიზუალურად.

[41] 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში, სამუშაოებს ამოწმებს შპს "ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი".

ზოგადად, ვიზუალური დათვალიერება ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შეფასებისთვის სათანადო საფუძველს, შესაბამისად, სამუშაოების ჩაბარებისას მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა რწმუნება ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე.

აუდიტის ჯგუფმა 2019 წლის 3, 8 და 10 ივლისს დაათვალიერა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შესრულებული პროექტები და გამოვლინდა, რომ სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. კერძოდ:

ქალაქ ამბროლაურში დახურული სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია

2017 წელს მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა შპს „ხუროსგან“ ქალაქ ამბროლაურში დახურული სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 399.1 ათასი ლარი.[42] ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნა პროექტის შესაბამისობასთან დაკავშირებით, თუმცა არ მოუთხოვია ხარისხის შესახებ დასკვნა. მიმწოდებლის მიერ შესრულებული პროექტი მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2017 წლის ოქტომბერში, რითაც დაადასტურა შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სამუშაოების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ დაზიანებულია შენობის გარკვეული მონაკვეთები.[43] აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა 2018 წლის მაისში და შემდგომ პერიოდებშიც გამოავლინეს სპორტულ დარბაზში არსებული ხარვეზები, რაზეც წერილობით ეცნობა მიმწოდებელს. პირველ შემთხვევაში მან ხარვეზები გამოასწორა, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის, სასამართლო დავა არ არის დასრულებული.

ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სპორტკომპლექსის საგარანტიო ვადა განისაზღვრა 3 წლით, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სამუშაოების მიღება-ჩაბარებიდან დაახლოებით 8 თვეში ობიექტზე გამოავლინეს ხარვეზები. პროექტის ასეთ მოკლე დროში დაზიანება წარმოშობს რისკს, რომ მიმწოდებლის მიერ სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ.

[42] NAT170003641

[43] ზოგ ადგილას დაზიანებულია სახურავი და ჩამოსულია წყალი, ზოგ ადგილას დაბზარულია კედლები, შენობის ფასადი და ასასვლელი კიბის უჯრედი, ჩამოყრილია ბათქაში, ზოგიერთ ოთახში დაზიანებულია ლამინატი

სოფელ ჭელიაღელე-თლუღის დამაკავშირებელი გზის მოწყობა

2017 წელს მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „მიმდემისგან“ 2 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სოფელ ჭელიაღელე-თლუღის ცემენტბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 271.9 ათასი ლარი[44] და ქ. ამბროლაურში - გზების მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები,[45] ღირებულებით 324.8 ათასი ლარი.[46] მუნიციპალიტეტმა 2017 წლის აგვისტოსა და ნოემბერში ჩაიბარა და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

შესრულებული სამუშაოების დათვალიერებით გამოვლინდა, რომ რუსთაველის ქუჩის №2 ჩიხში გზის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 7.9 ათასი ლარი, დაზიანებულია, კერძოდ, ბეტონის საფარი გარკვეულ ადგილებში დაბზარულია. სოფელ ჭელიაღელე-თლუღის დამაკავშირებელ გზაზე კი აღინიშნება განივი და გრძივი ბზარები.

სურათი №1. სოფელ ჭელიაღელე-თლუღის ცემენტბეტონის საფარიანი გზა

სურათი№2. რუსთაველის ქუჩის №2 ჩიხი

ხელშეკრულებების პირობის მიხედვით, მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის[47] დასკვნები. დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზამ დაადასტურა სამუშაოების მოცულობა, ხოლო ხარისხის დასადასტურებლად დაეყრდნო მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ლაბორატორიულ დასკვნებს. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო სამუშაოების დადგენილი ხარისხი და ობიექტის მდგომარეობა მიღება-ჩაბარებიდან მოკლე პერიოდში ხარისხობრივად გაუარესებულია.

[44] NAT170004120

[45] ვაჟა-ფშაველას, კოსტავას, რუსთაველისა და ხუციშვილის ქუჩები

[46] NAT170003460 ხელშეკრულება №32/17.

[47] დასკვნა გაცემულია შპს „არდას“ და შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ მიერ.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, ასევე დაზიანებულია და უხარისხოდ არის მოწყობილი 5 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. დაზიანებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი №2. დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი)

მიმწოდებელი	შესყიდვის ნომერი	ღირებულება (ლარი)	სამუშაოს დასახელება	დაზიანება
შპს მიმდემი	NAT170004121	148.5	სოფელ ძირაგეულში ცემენტო-ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზის მოწყობა[48]	განივი და გრძივი ბზარები
ი.მ გიორგი მიქიაშვილი	NAT170011375	24.9	ქალაქ ამბროლაურში დვლისა და ბარათაშვილის ქუჩების შემაერთებელი გზის სამოსის მოწყობა[49]	განივი და გრძივი ბზარები
შპს „ერ ტე დე“	NAT170004922	15.0	ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის N6 ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის გადახურვის და საგზაო სამოსის მოწყობა	განივი და გრძივი ბზარები
შპს „თაგი“	NAT170004029	298.2	სოფელ ჭრებალოში სპორტული, ცენტრის მოწყობა[50]	კედლები დაბზარულია, ჩამოყრილია ფითხი, სახურავიდან ჩამოედინება წყალი
ი.მ ბუხუტი კაციტაძე	NAT180011529	27.7	სოფელ მეორე ტოლაში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია	დაზიანებულია ლამინატის იატაკი, ჩამოყრილია ფითხი

აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტების დათვალიერების მომენტისათვის, ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდათ მოქმედი საგარანტიო ვადები, რომლის პერიოდშიც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებები. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს ობიექტზე არსებული დაზიანებების გამოსწორების მოთხოვნით.

[48] ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან ერთ თვეში მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს დაზიანებების აღმოფხვრის მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა უზრუნველყო წარმოქმნილი ბზარების სპეციალური ფითხით დამუშავება. მიუხედავად ამისა, გზაზე დაზიანებები კვლავ ფიქსირდება.

[49] სამუშაოების მიღება-ჩაბარებიდან 13 დღეში მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მიმართა გზის გარკვეულ მონაკვეთებზე დაზიანების აღმოფხვრის მოთხოვნით, თუმცა დაზიანებები მიმწოდებელს არ გამოუსწორებია.

[50] 2019 წლის 12 ივლისს, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მიმართა მხოლოდ სახურავიდან წყლის ჩამოსვლის პრობლემის აღმოფხვრაზე. მიმწოდებელმა აღნიშნული დაზიანება გამოასწორა.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული პროექტების დაზიანების მიზეზია შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი. მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლის ხარისხი ექსპერტიზების და მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ სათანადოდ შესწავლილი არ იყო. კონტროლის მექანიზმებში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება.

დასკვნა:

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლის პროცედურები წარმართეს ისე, რომ ჩაიბარეს 1,193.2 ათასი ლარის ღირებულების უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები - შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

გამწვანების სამუშაოები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციაა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობას დროულად მიაწოდოს მუნიციპალური სერვისები. შესაბამისად, პროექტების დაგეგმვის პროცესში საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლო ხელისშემშლელი გარემოებები და მათი გათვალისწინებით დაგეგმოს პროექტის განხორციელება.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის ივნისში მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ელიტ ბილდერ გრუპთან“ ქალაქ ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის

გამწვანების სამუშაოების შესყიდვაზე,[51] თანხით 13.3 ათასი ლარი. მიმწოდებელს 20 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა დაერგო 600 ძირი კვიპაროსის ნერგი. ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებული იყო მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში გამხმარი ნერგები ჩაენაცვლებინა საკუთარი სახსრებით.

ხელშეკრულების მიხედვით ხეები უნდა დარგულიყო 2017 წლის ივნისში, თუმცა მიმწოდებელმა სამუშაოები არ შეასრულა დროულად და მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა 2018 წლის 8 იანვარს (6 თვის დაგვიანებით)[52] ისე, რომ არ შეუფასებია პერიოდის გათვალისწინებით სამუშაოების მიზანშეწონილობა. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ვერ დაგვისაბუთა რამდენად ხელსაყრელი იყო ზამთრის პერიოდი კვიპაროსის ხეების დასარგავად. შესაბამისად, არსებობდა რისკი, რომ მუნიციპალიტეტს ვერ მიეღო დაგეგმილი შედეგი და დარგული კვიპაროსის ხეები გამხმარიყო. აღნიშნული რისკი დადასტურდა იმით, რომ სამუშაოების მიღება-ჩაბარებიდან დაახლოებით 5 თვეში, 2018 წლის 17 მაისს, მუნიციპალიტეტმა შეადგინა დათვალიერების ოქმი, რომლის მიხედვითაც 600 ძირი კვიპაროსიდან გამხმარი იყო 492 ნერგი.[53] მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა 2019 წლის აპრილში ჩაანაცვლა გამხმარი ხეები.

გამწვანების ზოლის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ დარგული ხეების უმრავლესობა გამხმარია.

სურათი №3. ქალაქ ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მოწყობილი გამწვანების ზოლი

შესწავლით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს განხორციელებული ნიადაგის კვლევა, იმის დასადგენად, ტერიტორია შესაფერისი იყო თუ არა მათ მიერ შერჩეული

[51] ხელშეკრულება №51/71, SPA170006724

[52] ვადაგადაცილებისათვის დარიცხული და გადახდილია პირგასამტეხლო 0.5 ათასი ლარი.

[53] მუნიციპალიტეტმა ხეების თავიდან დარგვის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებით მიმწოდებელს დაევალა 462 ძირის დარგვა.

მცენარისათვის. ასევე, არ განიხილა არახელსაყრელ პერიოდში ხეების დარგვასთან დაკავშირებული რისკები. შედეგად, დაგეგმილი პროექტი - გამწვანების ზოლის მოწყობა - ვერ განხორციელდა და არაეფექტიანად დაიხარჯა 13.3 ათასი ლარი.

მიმწოდებელზე ზედმეტად ანაზღაურებული თანხები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვის პროცესის წარმართვას სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა №2) ასახოს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი გადაამოწმებს ფორმა №2-ებში ასახულ მონაცემებს და შესაბამისობის შემთხვევაში ადასტურებს მის სისწორეს.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა დახურული სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 399.1 ათასი ლარი. სამუშაოები შეასრულა შპს „ხურომ“. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ჩაიბარა და მიმწოდებელს აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შპს „ხუროს“ მიერ წარმოდგენილი და შპს „რეალექსპერტის“ მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოს აქტი და გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზი, კერძოდ: ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთ თავში მასალის ტრანსპორტირების პროცენტი, ნაცვლად მასალის ღირებულებისა, დარიცხულია სამუშაოების ღირებულების მთლიან ჯამზე, ხოლო ერთი და იგივე სამუშაო მთლიან ჯამში ორჯერ არის შეყვანილი.

აღნიშნული ხარვეზები არც მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფს და არც მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ საექსპერტო კომპანიას არ დაუფიქსირებია. შედეგად, მიმწოდებელზე ზედმეტად ანაზღაურებულია 7.8 ათასი ლარი. საჭიროა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მიმწოდებელზე თანხის ზედმეტად გადარიცხვის ფაქტი და უზრუნველყოს ბიუჯეტში დაბრუნება.

ტექნიკური ზედამხედველის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული საზედამხედველო კომპანია უზრუნველყოფს მიმწოდებლის მიერ 50.0 ათას ლარს ზემოთ განხორციელებული სამუშაოების შესრულების ყოველდღიურ მონიტორინგს, ასევე, გასცემს დასკვნას შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე; შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს აწვდის ინფორმაციას.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დააჯარიმოს საზედამხედველო კომპანია ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით, არანაკლებ 1000 ლარისა. ასევე ტექნიკურმა ზედამხედველმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის აგვისტოში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით,[54] ხელშეკრულება გააფორმა შპს "ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინთან". ხელშეკრულების მიხედვით, 2017-2019 წლებში კომპანია ზედამხედველობას გაუწევდა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტებს. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 733.5 ათასი ლარით.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საზედამხედველო კომპანია ვალდებულია, ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპიდან, ჩაერთოს პროცესში და ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს განხორციელებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხს. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში აცნობოს მუნიციპალიტეტს. ასევე მშენებელს ან/და საპროექტოს განუსაზღვროს გონივრული ვადა მათ გამოსასწორებლად.

დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 4 შემთხვევაში გამოავლინა საზედამხედველო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, კერძოდ:

- სოფელ ურავში ყოფილი სამთო ქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოებზე შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინმა“ დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების არასათანადო ტემპით შესრულებაზე, ასევე პირველი ეტაპის დასრულების თარიღად მიუთითა 2018 წლის 9 ივლისი, ხოლო შესრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ამ დროისთვის სამუშაოები დასრულებული არ იყო. მიმწოდებელმა რეალურად სამუშაოები დაასრულა 2018 წლის პირველ აგვისტოს;
- საკონსერვაციო სამუშაოების მეორე ეტაპზე შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინმა“ დაადასტურა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები, ღირებულებით 58.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების ნაწილი

[54] NAT170007732

უხარისხოდ მიიჩნია და მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შეფასების მიზნით. დასკვნის მიხედვით, პროექტი შესრულებული იყო უხარისხოდ. ამდენად, ტექნიკურმა ზედამხედველმა მიმწოდებელს დაუდასტურა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები;

- საზედამხედველო კომპანიამ სოფელ ლიხეთის წყალმომარაგების ქსელის სამუშაოების დასრულება დაადასტურა 2018 წლის 24 ოქტომბერს. შესრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მიმწოდებელს სამუშაოები ამ დროისათვის არ ჰქონდა დასრულებული.
- შპს „ადმირალ 2012“-ის ფილიალმა საქართველოში შეასრულა სტადიონის მოწყობის სამუშაოები, რომლებიც დაადასტურა საზედამხედველო კომპანიამ. მუნიციპალიტეტმა დააფიქსირა დაზიანებები მოედნის საფარზე და ღობის ზეძირკველზე. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მოსთხოვა დაზიანებების გამოსწორება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხერხდა იურიდიულ მისამართზე აღნიშნული შპს-ს პოვნა, მუნიციპალიტეტმა საზედამხედველო კომპანიას დააკისრა ხარვეზების გამოსწორება.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა 4 შემთხვევაში დააჯარიმა საზედამხედველო კომპანია, თანხით 4.6 ათასი ლარი. სტადიონის შემთხვევაში კი მოსთხოვა მიმწოდებლის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორება.[55] აღნიშნული გარემოებები მიუთითებს საზედამხედველო კომპანიის მიერ დაკისრებული მოვალეობების არასათანადო შესრულებაზე.

მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას. ასევე მუნიციპალიტეტს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია სრული ოდენობით. აღნიშნული მექანიზმები მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია.

დასკვნა:

ტექნიკური ზედამხედველის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში გამოვლინდა სისტემური ხასიათის ხარვეზები. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იმის შესახებ, იყო თუ არა მის მიერ გამოვლენილი არაჯეროვანი შესრულების ფაქტები

[55] შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინმა“ გადაიხადა მასზე დაკისრებული ჯარიმები და გამოასწორა მიმწოდებლის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, თანხით 38.1 ათასი ლარი.

საკმარისი ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და საბანკო გარანტიის მოთხოვნისათვის. შესაბამისად, აღნიშნული კომპანია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვისაც აგრძელებს საზედამხედველო მომსახურებას.

რეკომენდაცია №4: მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზედამხედველო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო შეუსრულებლობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

იურიდიული პირების საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს უფლება აქვს დააფუძნოს სხვადასხვა პროფილის მქონე იურიდიული პირ(ებ)ი. მოქმედი კანონმდებლობით, მათ საქმიანობაზე კონტროლი უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტის მერიამ, რაც გულისხმობს იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

შპს „ამბროლაურის სერვისცენტრი“ და შპს „ახალი ტრანსპორტი“ იჯარით გასცემს ტექნიკას. შპს „ამბროლაურის სერვისცენტრის“ მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით, 2017 წელს ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში დამქირავებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით; ხოლო 2018 წელს, ქირის საფასურის გადახდა ხორციელდებოდა წინასწარ, სამუშაოების დაწყებამდე და არ ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციას.[56] შპს „ახალი ტრანსპორტის“ საიჯარო ხელშეკრულები არ ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციებს.[57]

გამოვლენილი გარემოება: 2017-2018 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა შემდეგი იურიდიული პირები:[58] შპს „ახალი ტრანსპორტი“ და შპს „ამბროლაურის სერვისცენტრი“. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აღნიშნული პირებისთვის 2017-2018 წლებში არ მიუცია სუბსიდია თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად. მათი შემოსავლის წყარო იყო მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობა, ასევე ტექნიკის გაქირავება.

[56] იჯარის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს-ს შეეძლო ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება.
[57] საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს-ს შეეძლო ხელშეკრულების გაუფრთხილებლად შეწყვეტა.
[58] შპს-ების 100%-იანი წილის მფლობელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შპს-ების საქმიანობა და ამ საქმიანობის კონტროლის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა. შესწავლით გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზი. კერძოდ:

შპს ,,ამბროლაურის სერვისცენტრი" ფლობს ხუთ ერთეულ ტექნიკას, რომელსაც იყენებს როგორც თავისი საქმიანობის განხორციელების დროს, ასევე შემოსავლის მიღების მიზნით, აქირავებს სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე. საიჯარო ხელშეკრულებების შესწავლით ირკვევა, რომ შპს-ს სრულად არ აქვს მიღებული საიჯარო ქირის სახით განსაზღვრული შემოსავლები. კერძოდ, 2017 წელს გადაუხდელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 23.5 ათასი ლარი,[59] ხოლო 2018 წელს - 17.0 ათასი ლარი.[60]

მიუხედავად მიუღებელი საიჯარო ქირისა, შპს „ამბროლაურის სერვისცენტრი“ მოიჯარეებს არ არიცხავდა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციებს. ასევე 2018 წელს, ხშირ შემთხვევაში, არ გამოუყენებია ანგარიშსწორების საავანსო ფორმა. ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრული იყო მექანიზმები, რომელთა ამოქმედებით კომპანიას შეეძლო თანხების მისაღებად ზემოქმედება მოეხდინა მოიჯარეებზე, თუმცა არ გამოიყენა და შესაბამისად, ვერ უზრუნველყო მისაღები შემოსავლების სრულად მობილიზება.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია, ასევე შპს „ახალი ტრანსპორტი“, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებას. 2017-2018 წლებში შპს-მ თავისი საქმიანობის ფარგლებში მძღოლებზე იჯარით გასცა მის სარგებლობაში არსებული 7-8 ავტობუსი. დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ 2017 წელს შპს-ის მიერ მიუღებელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 2.4 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს 2.6 ათასი ლარი. ამასთანავე, საიჯარო ქირების გადაუხდელობის შემთხვევებში, შპს-ს არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული მექანიზმები.[61]

დასკვნა:

მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სათანადო კონტროლსა და ზედამხედველობას, რის გამოც ქონების განკარგვის პროცესი ხასიათდება ხარვეზებით - შპს „ამბროლაურის სერვისცენტრი" და შპს „ახალი ტრანსპორტი“ ეფექტიანად ვერ განკარგავს მათ სარგებლობაში არსებულ ქონებას.

[59] ამ დავალიანებიდან 2018 წელს გადახდილია 4.0 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს 7.8 ათასი ლარი.
[60] ამ დავალიანებიდან 2019 წელს გადახდილია 2.9 ათასი ლარი.
[61] საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს-ს შეეძლო ხელშეკრულების გაუფრთხილებლად შეწყვეტა, რაც არ გამოუყენებია.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდა ინფორმაციას მიუღებელი საიჯარო ქირების შესახებ, არ განუხორციელებია რაიმე ღონისძიება შემოსავლების სრულად და დროულად მისაღებად. საერთო ჯამში, შპს-ების მიერ მიუღებელმა საიჯარო შემოსავალმა 2017-2018 წლებში 45.5 ათასი ლარი შეადგინა. შპს „ამბროლაურის სერვისცენტრის“ საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები, ასევე დაფიქსირებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დროსაც, მიუხედავად ამისა, პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანომ, საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტიანად მართვის მიზნით, შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მიერ დაფუძნებული შპს-ების მიერ შემოსავლის ბიუჯეტში დროულ და სრულ მობილიზებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,[62] მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,[63] ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტია, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: 2017-2018 წლებში, მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით.[64] დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის

[62] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.
[63] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი
[64] მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ნოემბრის №22 დადგენილება;

ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 400 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2017-2018 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 172.6 ათასი ლარი.[65] საკრებულოს არათანამდებობის პირებს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებული ხარჯების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დასკვნა:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 172.6 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ აანაზღაუროს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

[65] 2017 წელს 94.0 ათასი ლარი, 2018 წელს 78.6 ათასი ლარი.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

ქონების მართვასა და განკარგვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: სარგებლობის უფლებით ქონების გაცემის შედეგად მიღებული სახსრები მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოიყენოს თავის საკუთრებაში არსებული ქონება. აგრეთვე, შემოსავლების მიღების მიზნით, უფლებამოსილია აღნიშნული ქონება გასცეს აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის ფორმით.

გამოვლენილი გარემოება 1: ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 2012 წელს ფონდ „აფხაზინტერკონტზე“ იჯარით გასცა 374 კვ.მ ფართის შენობა, 20 წლის ვადით. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოიჯარე შენობაში შეასრულებდა სარემონტო სამუშაოებს, ხოლო ყოველწლიურად საიჯარო ქირაში ჩაეთვლებოდა შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ფონდ „აფხაზინტერკონტმა“ შენობაში განახორციელა 168.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები.

იჯარით გაცემული ქონების დათვალიერებით გაირკვა, რომ შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ფონდის საკუთრებაში არსებული ფერმერული მაღაზია, რომელიც ახორციელებს კომერციულ საქმიანობას.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 2012 წლიდან 20 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი ვერ მიიღებს საიჯარო შემოსავალს ფულადი ფორმით, მისი სარგებელია მხოლოდ გარემონტებული შენობა, თუმცა საიჯარო ვადის ბოლოსთვის, ცვეთის გათვალისწინებით, რემონტის ღირებულება არაარსებითი იქნება. აქედან გამომდინარე, მერია ვერ მიიღებს საიჯარო ქირის თანაზომიერ სარგებელს და პრაქტიკულად უფასოდ აქვს გაცემული 374 კვ.მ ფართის შენობა.

გამოვლენილი გარემოება 2: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ (რესტორან „ღარისწყალთან“) 100 კვ.მ მიწის ნაკვეთი. შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნული ფართის შეძენის მოთხოვნით რესტორნის მეპატრონემ 2018 წელს მიმართა მუნიციპალიტეტს. მერიამ შეაფასა ფართი და გაიტანა აუქციონზე, თუმცა აუქციონში მონაწილეობა არავინ მიიღო და ჩაიშალა. აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა ობიექტი, რის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ფართს ფაქტობრივად იყენებს რესტორანი, კერძოდ, მასზე განთავსებულია ძველი ჯიხური.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, ასევე ბრატისლავა-რაჭის ქუჩის მიმდებარედ 750 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ადგილი შემოღობილია და მოსახლეობა იყენებს პირადი მოხმარებისთვის.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული ობიექტების განკარგვა სამართლებრივად არ არის მოწესრიგებული. შედეგად, მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შემოსავალს.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, იჯარის ფორმით, ქონების განკარგვა ხორციელდება არაპროდუქტიულად. ქონება პრაქტიკულად უფასოდ აქვს გაცემული ფონდ „აფხაზინტერკონტზე", ასევე სამართლებრივად არ არის მოწესრიგებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული ქონება.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის მერიამ, საბაზრო ფასებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვა. ასევე, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც დროულად გამოავლენს მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ თვითნებურად გამოყენების ფაქტებს და მიიღოს შესაბამისი ზომები.

საბიუჯეტო პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

არასათანადოდ შედგენილი პრიორიტეტების დოკუმენტი

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობას მუნიციპალიტეტი იწყებს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამისათვის ყოველი წლის პირველი მარტიდან გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. კანონმდებლობის მიხედვით პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს, გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს, პრიორიტეტების

ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების /ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორებს და სხვ.[66]

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტებში[67] არ არის წარმოდგენილი გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებული პროგნოზები. გარდა ამისა, პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა დაგვიანებით. კერძოდ, 2017 წელს ბრძანება გამოიცა 29 მარტს (თვითმმართველი თემის ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის), ხოლო თვითმმართველი ქალაქი ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის 2017 წლის 11 აპრილს, ნაცვლად პირველი მარტისა.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება

კრიტერიუმი. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები, კერძოდ: „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლები უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 2016 წლის მოსალოდნელი საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს.[68] კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს აღნიშნული მოთხოვნები უნდა დაეცვათ 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

გამოვლენილი გარემოება. 2017 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა მის მიერ დაფუძნებულ 16 ა(ა)იპ-ზე სუბსიდიის სახით გასცა ჯამში – 2,646.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა 6 ა(ა)იპ-ის სუბსიდიის დაგეგმვისა და დაფინანსების პროცესში არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა, 2016 წლის მოსალოდნელი საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-მდე შეემცირებინა „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიის“ მუხლები. აღნიშნულის შესახებ მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში.

[66] „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მუხლი 76.
[67] 2017 წლის თემი ამბროლაურის პრიორიტეტების დოკუმენტი შეიცავს აღნიშნულ ინფორმაციას
[68] მუხლი 23, პუნქტი „ვ“ (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა).

ცხრილი №3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2016-2017 წლების ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ათასი ლარი)

№	დასახელება	2016 წელი		2017 წელი	გადახრა
		საკასო შესრულება	საკასო შესრულების 90%	საკასო შესრულება	
1.	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	115.2	103.7	108.7	5.0
2.	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,რაჭა''	114.0	102.6	119.8	17.2
3.	ა(ა)იპ ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა(ქალაქი)	168.5	151.6	154.1	2.5
4.	ა(ა)იპ ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა(თემი)	70.0	63.0	67.9	4.9
5.	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უ. ჯაფარიძის სახ. სამხატვრო სკოლა	48.2	43.4	44.6	1.2
6.	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი - თემი	195.1	175.6	212.0	36.4
სულ		**711**	**639.9**	**707.1**	**67.2**

დასკვნა:

მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შესახებ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების „სუბსიდიის“ მუხლით დაფინანსებამ კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმას 67.2 ათასი ლარით გადააჭარბა.

შესყიდვების პროცესში არსებული ხარვეზები

2017-2018 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა 3 ტენდერი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განცხადებებისა და ინფორმაციების გაზეთში გამოქვეყნების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარუდო ღირებულებით 24.9 ათასი ლარი.[69]

სატენდერო პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავდა შემზღუდავ მოთხოვნებს და სპეციფიკაციებს, რის გამოც, ტენდერები

[69] NAT180001519, SPA170002593, SPA170003546

ტარდებოდა ერთიდაიმავე მიმწოდებლის მონაწილეობით. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ტექნიკურ დავალებაში მიუთითა გაზეთის ცალკეული ტექნიკური მახასიათებლები, როგორიცაა: ინფორმაციის მოცულობა არანაკლებ 4 გვერდი, აქედან ორი გვერდი ფერადი, თითოეული გვერდი 925 კვ.სმ, გაზეთი დაბეჭდილი უნდა იყოს A3 ფორმატით, საბეჭდი შრიფტი 8. გაზეთი დაბეჭდილი უნდა იყოს ცარცის პრიალა 90 გ. ქაღალდზე. გარდა ამისა, სატენდერო პირობების მიხედვით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა თვითმმართველობასთან განცხადებებისა და ინფორმაციების გამოქვეყნების მომსახურების გაწევის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.

ტენდერებში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი - შპს „ამბროლაურის მოამბე", რომლის 100%-იანი წილის მფლობელი არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. 2011 წლიდან დღემდე აღნიშნული შპს მონაწილეობს და იმარჯვებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ მხოლოდ ამ ტიპის შესყიდვებში და მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა ტენდერებიდან მიღებული თანხა.

აღნიშნულის გათვალისწინებით არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა მომსახურების შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ სატენდერო პირობები მორგებული ყოფილიყო კონკრეტული პირის ინტერესებს.

შიდა აუდიტის ხარვეზები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა; მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება; მოსალოდნელი დარღვევების, სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, რისკფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და მათი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის უპირველესი ფუნქციაა სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომლებიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა,

რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გამოვლენილი გარემოება: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა, რაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტს 2017-2018 წლებში არ მოუმზადებია. ასევე, 2017 წელს სამსახურის მიერ მომზადებული არ არის აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმები, თუმცა ინფორმაცია, რაც აღნიშნულ დოკუმენტში უნდა იყოს, ნაწილობრივ ასახულია სამსახურის მიერ მომზადებულ წლიურ გეგმაში.

2017-2018 წლებში შიდა აუდიტის სამსახურმა სულ ჩაატარა 13 აუდიტორული შემოწმება. შემოწმებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ერთი შპს, 8 ა(ა)იპ, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2 განყოფილება და თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2 სამსახური. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინასება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. წარმოდგენილი მონაცემებით, შიდა აუდიტის სამსახურს 2018 წელს მერიის სტრუქტურული ერთეულები არ შეუსწავლია, ხოლო 2017 წელს შესწავლილი აქვს მხოლოდ 2 სამსახური[70] და 2 განყოფილება.[71] შესაბამისად, სათანადოდ არ განუხორციელებია მუნიციპალიტეტში არსებული დარღვევების, რისკებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

რაც შეეხება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ ა(ა)იპ/შპს-ს აუდიტებს, შემოწმებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის ნაკლოვანება, რომელთა გამოსწორების მიზნით, სამსახურს გაცემული აქვს რეკომენდაციები. აღნიშნული ზოგადი ხასიათისაა და არ მიუთითებს სისტემაში არსებულ ხარვეზებზე. შესაბამისად, გაცემული

[70] თემი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და სოციალური სამსახური;
[71] ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შესყიდვების და მშენებლობისა და კეთილმოწყობის განყოფილება;

რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა 2018 წელს განახორციელა მხოლოდ ერთი ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ არის იმის დასადგენად, ითვალისწინებენ თუ არა შემოწმებული ობიექტები შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს მიმდინარე საქმიანობისათვის. შესაბამისად, სამსახური არ ფლობს ინფორმაციას რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანია, შიდა აუდიტის სამსახურმა პერიოდულად განახორციელოს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2017-2018 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც მიგნებების სახით წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზების შესახებ, ასევე დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დასკვნა:

სამსახურს არ შეუფასებია შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინასება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის იმგვარი ფუნქციონირება, რომელიც ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს შეისწავლის და შეაფასებს, ასევე გამოავლენს პროცესებში არსებულ რისკებსა და სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

წინა აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება.

აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. თუმცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა სათანადო რეაგირება და არ გამოასწორა ზოგიერთი დარღვევა-ნაკლოვანება; არ დაბრუნებულა ზედმეტად გადარიცხული დღგ-ს თანხა; არ არის დარიცხული პირგასამტეხლო 19 ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე სრულად არ არის მიღებული მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალიტეტმა არ მოახდინა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში. მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს, რატომ არ განხორციელდა სათანადო რეაგირება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის დროს გამოვლენილ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით; ასევე გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებაზე რეაგირება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორები:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ქრისტინე ეკალაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ლაღიძე ----------
აუდიტორი

ანა ზაქარაშვილი ----------
აუდიტორ-ასისტენტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38